

ბატონებო და ქალბატონებო,

წარმოგიდგენთ 2018 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად საკრებულოს, ცვლილებათა გათვალისწინებით, დასამტკიცებლად წარედგინა მერიისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების-მერიის სამსახურების დებულებები.

დამტკიცდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულია სტრუქტურით გათვალისწინებული 136 თანამშრომელი, შტატგარეშე მოსამსახურედ კი აყვანილია 12.

მერიაში ფუნქციონირებს 9 სტრუქტურული ერთეული და 9 ა(ა)იპ-ი.

საანგარიშო პერიოდში მერიაში არსებულ ვაკანსიებზე ჩატარდა 22 კონკურსი, რომლის შედეგად დაინიშნა 14 პროფესიული საჯარო მოხელე, 4 პირი დასაქმდა ხელშეკრულებით და 4 შემთხვევაში მოხდა კარიერული განვითარება.

საჯარო მოხელის გადამზადება-ტრენინგი გაიარა 38-მა საჯარო მოხელემ.

ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახური

მერიაში შემოვიდა:

განცხადებები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით (ყველა დაკმაყოფილდა);

მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები;

წერილები - იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან, სამინისტროებიდან და საჯარო რეესტრიდან, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სამსახურებიდან, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და იუსტიციის სამინისტროდან, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან, სამსახურებიდან და ა. შ

ასევე შემოვიდა სხვადასხვა საკითხთა გათვალისწინებით მოქალაქეთა განცხადებები, წინადადებები, საჩივრები, რომელთა მაქსიმალურ უმრავლესობას გაეცა პასუხები, მინიმალურ რაოდენობაზე მიმდინარეობს მუშაობა. (მოხსენებითი ბარათი დაწვრილებითი ინფორმაციით თან ერთვის).

2018 წლის 11 იანვარს მუნიციპალიტეტის მერის N20 15 ბრძანებით დამტკიცდა ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რაც განისაზღვრა 1 723 702 ლარით. წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2018 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 11 287 108 ლარი. მათ შორის:საკუთარი სახსრებიდან შემოსულობები-1 707 416 ლარი. მიზნობრივი

ტრანსფერი 21 842 ლარი, საქართველოს მთავრობის N39 განკარგულებით 5890 ლარი, N 136 განკარგულებით 6 792 359 ლარი, N80 განკარგულებით 130 452 ლარი, N1401 განკარგულებით 253 966 ლარი, N1409 განკარგულებით 178 545 ლარი, N1426 განკარგულებით 58 496 ლარი, N2367 განკარგულებით 1 444 999 ლარი და N2712 განკარგულებით 1 993 143 ლარი.

2018 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 96 ელექტრონული ტენდერი. აქედან გამოცხადებულის სტატუსი მინიჭებული აქვს 3 ტენდერს, არ შედგა 24, უარყოფითი შედეგით დასრულდა 5, შეწყდა 4.

გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 60 შემთხვევაში გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 8 077 910 ლარი და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 191 ხელშეკრულება. მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით 137 ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 86 014 ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით 1 733 831 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 15 ხელშეკრულება. (საბჭიდი ქალაქების შესყიდვა-7602 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები-21 211-ლარი; საბურავები-2956 ლარი; სატელეფონო მომსახურება-20 220 ლარი.) კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვების საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით 13 912 ლარი.

საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებათა გათვალისწინებით მერისა და მერიის ოფიციალური ვებგვერდების, ვებ გვერდების, მწერალთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის გაზეთ „უქიმერიონის“ და ადგილობრივი გაზეთ „საჩინოს“ საშუალებით. გარდა ამისა მუნიციპალიტეტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ინტერნეტ საინფორმაციო სააგენტოებთან („topnews.com. ge“ და „guardian“)

საკრებულოსთან ურთიერთობის სფერო

გასულ საანგარიშო წელში საკრებულოს წარედგინა ანგარიშები, წერილები და დადგენილებების პროექტები მტკიცებისათვის.

კერძოდ:

2018 წლის 28 თებერვალს 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ; 2018 წლის 20 მარტს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ; 2018 წლის თითოეული კვარტლის მიხედვით ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა 12- ჯერ.

რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს მიმართა 1--ჯერ.

ინფორმაცია, ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და დახარჯული თანხების შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინებოდა კვარტალში ერთხელ.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 38 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7100,0 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობები ჩამოყალიბდა 13999,4 ათასი ლარის, გადასახდელები 16845,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2846,0 ათასი ლარის მოცულობით.

შემოსულობების წლიური გეგმა 13,994,4 ათასი ლარით განისაზღვრა, ბიუჯეტში წლის განმავლობაში მიღებულია 14108,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100,8%-ს შეადგენს. მათ შორის:

გადასახადების 2018 წლის საპროგნოზო მოცულობა 500,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 654,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 130,9%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2018 წლის გეგმა 12868,7 ათას ლარს შეადგენდა მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 12832,5 ათასი ლარის მოცულობის გრანტი. წლიური გეგმა 99,7%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 530,7 ათას ლარს, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 514,3 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 96,9%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსულობებმა 107,2 ათასი ლარი შეადგინა, წლიური გეგმის 100,0 ათასი ლარის 107,2%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გეგმა შეადგენდა 16845,4 ათას ლარს. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 13338,0 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის 79,2%-ია.

შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა 1726,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 1726,1 ათასი ლარის 99,9%.

საქონლისა და მომსახურების მუხლით მიიმართა 871,7 ათასი ლარი, გეგმის 945,0 ათასი ლარის 92,2%.

სუბსიდიების გეგმიური ასიგნებების მოცულობა შეადგენდა 2777,6 ათას ლარს, საკასო შესრულება შეადგენს 2771,7 ათას ლარს, გეგმა 99,8%-ით შესრულდა.

გრანტების მუხლის ასიგნებების გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებელი 0,5 ათასი ლარია.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გამოყოფილი იყო 617,5 ათასი ლარი, ფაქტობრივად დაიხარჯა 614,1 ათასი ლარი, გეგმის 99,4%.

სხვა ხარჯებზე გეგმით მიიმატა 424,1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 314,1 ათასი ლარი, გეგმის 74,1%.

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განსაზღვრული იყო 10302,1 ათასი ლარით, საკასო შესრულებაა 6987,4 ათასი ლარი, გეგმის 67,8%.

ბიუჯეტის შესრულება პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსებაზე წლიური ბიუჯეტით 2433,5 ათასი ლარი მიიმატა. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება 2427,2 ათას ლარს შეადგენს, რაც საანგარიშო პერიოდის გეგმის 99,7%-ია.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალგების ხელშეწყობის პროგრამაზე 2018 წლის გეგმით 84,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 83,0 ათასი ლარი მიიმატა, რაც წლიური გეგმის 97,9%-ია.

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დაფინანსებაზე წლიური ბიუჯეტით 10545,9 ათასი ლარი მიიმატა. 2018 წლის საკასო შესრულება 7286,5 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 69,1%-ია.

განათლების სფეროს ასიგნებების 2018 წლის მოცულობა 1287,5 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. საკასო შესრულება 1241,8 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 96,5%-ს.

კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული და რელიგიის სფეროს ასიგნებების 2018 წლის ათას ლარს უტოლდება, წლიური გეგმის 93,8%-ს.

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით 2018 წლის ბიუჯეტში 1103,1 ათასი ლარი გამოიყო. საკასო შესრულება 995,5 ათასი ლარია, წლიური გეგმის 90,2%.

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვა

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ვანის მუნიციპალიტეტს სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადმოსცა ქ. ვანში თავისუფლების ქ. N100-ში მდებარე 11862 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (დანართი N1).

მუნიციპალურ საკუთრებაში მიღებული და დარეგისტრირებული იქნა: - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8 მიწის ნაკვეთი (დანართი N2)

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 14 მიწის ნაკვეთი (დანართი N3).

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „მაგთიკომს“ გადაეცა ქ. ვანში არსებული 619 ერთეული გარე განათების კონსტრუქცია (ხაზოვანი ნაგებობა).

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დატაკომ“-ს გადაეცა სოფ. ზეინდარში, შუაგორასა და ქვედა გორაში არსებული 340 ერთეული გარე განათების კონსტრუქცია (ხაზოვანი ნაგებობები).

2016 წელს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით) გადაეცა ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ტობანიერში მდებარე 4500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (კალისტრატე ცინცაძის სახლმუზეუმი). (დანართი N4).

2018 წელს მოწყობილ ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზებული იქნა მუნიციპალური საკუთრების 27 ობიექტი. (დანართი N5).

2018 წელს მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან და იჯარით გაცემიდან მუნიციპალურ ბიუჯეტში ჩაირიცხა 120808.84 (ასოცი ათას რვაას რვა ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარი.

ინფრასტრუქტურა და არქიტექტურა

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული ობიექტების განვითარებისათვის და სტიქიური მოვლენის შედეგების სალიკვიდაციოდ 2018 წელს განხორციელდა 9 473 713 ლარის სამშენებლო სამუშაოები, მასალების შესყიდვა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარება. მათ შორის:

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6 649 354 ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტის 5%-იანი თანადაფინანსებით 349 969 ლარით დაფინანსდა 14 პროექტი საერთო ღირებულებით 6 999 323 ლარი.

-უმუშაოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 6 ინფრასტრუქტურულ პროექტზე გაიხარჯა 329 390 ლარი.

-სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 000 000 ლარი. აქედან: 85 სამშენებლო პროექტზე გათვალისწინებული იქნა 1 876 805 ლარის სამუშაოების შესრულება, 124 195 ლარით დაფინანსდა სხვადასხვა აუცილებელი ღონისძიებები და სამშენებლო მასალების შესყიდვა.

-განმეორებით მომხდარი სტიქიური მოვლენის (ძლიერი ქარი) სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისთვის გამოეყო 145 000 ლარი. სამშენებლო მასალებით დახმარება გაეწია 38 ფიზიკურ პირს. აგრეთვე რეაბილიტაციას დაექვემდებარა 2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი, მდებარე ქ. ვანში თავისუფლების ქN82-ში და სოფელ სულორში კურორტის ტერიტორიაზე.

2018 წელს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიხედვით, დასასრულებელი პროექტებიდან ვერ დასრულდა 3 პროექტი. მათ შორის: 2 რეგიონებში განსახორციელებელი პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, რომლის ღირებულება შეადგენს 1 026 573 ლარს, ორივე პროექტს გაუგრძელდა სამუშაოების შესრულების ვადა. მესამე პროექტის, სოფელ სულორში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოს შემსრულებელს სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის შეუწყდა ხელშეკრულება.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად ხდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული სხვადასხვა პროგრამების მიხედვით მოსახლეობის მომსახურება მომართული განცხადებების საფუძველზე.

საანგარიშო წელს დაზიანებული საცხოვრებელი სახლის თაობაზე სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 89 განცხადება, აქედან: დახმარება გაეწია 24 ოჯახს თანხით 34 380 ლარი, 2 ოჯახს მიეცა

სახლისთვის მეორადი სახურავი, 25 ოჯახს მიენიჭა სათანადო კატეგორია და შუამდგომლობა გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, ; გეოლოგიურ შესწავლაზე ჩაინიშნა 22 ოჯახი; დამატებით შესწავლაზე დაბრუნდა 6 განცხადება; 10 განცხადებას ეთქვა უარი.

საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო მშენებლობის განხორციელებისათვის მომზადდა და შესაბამისი წესის მიხედვით გაიცა 22 თანხმობის წერილი და 15 სანებართვო მოწმობა.

მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი კომპენტენციის დაცვით განკარგული იქნა 47მ³ ხე-მასალა, აქედან: საშეშედ 10მ³, სამასალედ 37მ³.

(საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და სოფლის პროგრამების განხორციელების შესახებ მასალები ანგარიშს თან ერთვის).

ზედამხედველობა

2018 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ზედამხედველობა (მონიტორინგი) განხორციელდა შ. პ. ს. “საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“ პარალელურ რეჟიმში 17 მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტზე, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 9 881 259 ლარი.

ასევე უშუალო ზედამხედველობა განხორციელდა 50 000 ლარამდე ღირებულების 23 პროექტზე, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 827 579 ლარს.

ზემოთ აღნიშნულ პროექტებზე განხორციელებული ზედამხედველობის პროცესში, სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის მშენებელი ორგანიზაციებიდან საჯარიმო სანქციების სახით ამოღებულია 2520 ლარი.

უნებართვო მშენებლობის წარმოებიდან საჯარიმო სანქციების სახით ამოღებულია 2500 ლარი.

2018 წლის საანგარიშო პერიოდისათვის მოსაკრებლის სახით, ფიზიკური და იურიდიული , პირებისაგან, მათ მიერ გამოყენებულ სამეწარმეო ფართებზე ამოღებულია 28 546 ლარი.

ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო

ვანის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დამტკიცებული იყო 14 პროგრამა ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 667300 ლარი ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N124 დადგენილებით განხორციელდა ბიუჯეტის კორექტირება და ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების წლიური ბიუჯეტი დადგინდა 627300 ლარის ოდენობით, რაც 2017 წელთან (600000) შედარებით 4,5%-ით მეტია. დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, წლის განმავლობაში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის N34 ბრძანება.

საბიუჯეტო სახსრები პროგრამების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი-106 000 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემოდა პირველ შვილზე- 300 ლარი, მეორეზე- 350, მესამესა და ყოველ მომდევნო შვილზე 500 ლარი, ტყუპების შემთხვევაში თითოეულ ბავშვზე 500 ლარი.

დაკმაყოფილდა 283 ბენეფიციარი-თანხით 106000 ლარი.

2 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამა,

ბიუჯეტი 38800 ლარი. ბენეფიციარებზე ყოველთვიურად გაიცემოდა დახმარება 200 ლარის ოდენობით. პროგრამით ისარგებლა 17-მა ბენეფიციარმა, გახარჯულია 38800 ლარი.

3. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი-5000ლარი, ერთჯერადი ფულადი დახმარება 1000 ლარის ოდენობით მიეცა 5 ბენეფიციარს.

4. მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი-20050 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცათ მარჩენალგარდაცვლილ პირებს, ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით, ხოლო 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებს ერთ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 63 ბენეფიციარი,თანხით 20050 ლარი.

5. მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისა და 9 აპრილის დაზარალებულთა დახმარების პროგრამა,

ბიუჯეტი 6700 ლარი. ერთჯერადი დახმარება მიეცათ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის, ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებს 300 ლარის და 9 აპრილს დაზარალებულებს 500 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 19 ბენეფიციარი, გახარჯულია 6700ლარი.

6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

ბიუჯეტი-22300ლარი. პროგრამით სარგებლობდა 33 ბენეფიციარი, გაიხარჯა 21027ლარი;

7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი-21500 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 100 ლარის ოდენობით მიეცათ ოჯახებს, რომელთაც ჰყავდათ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი, დაკმაყოფილდა 52 ბენეფიციარი, თანხით 21500 ლარი;

8. პირველი ჯგუფის ინვალიდების დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი-37400ლარი ერთჯერადი ფულადი დახმარება 20 ლარის ოდენობით მიეცა 187 ბენეფიციარს თანხით 37400ლარი.

9. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე,სოციალურად დაუცველ (100 000-მდე სარეიტინგო ქულა) ვეტერანთა დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი- 9700ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით მიეცათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, ხოლო 300 ლარის ოდენობით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000-მდე სარეიტინგო ქულა) ვეტერანებს. დაკმაყოფილდა 25 ბენეფიციარი- თანხით 9700 ლარი;

10. სამედიცინო დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი 244550 ლარი.წლის განმავლობაში ფულადი დახმარება არაუმეტეს 700 ლარისა მიეცათ:

ა) მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული ჰქონდათ სარეიტინგო ქულა 1-დან 65000-ის ჩათვლით;

ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთაც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მინიჭებული ჰქონდათ სარეიტინგო ქულა 1-დან 100000-ის ჩათვლით;

გ) ონკოლოგიური (მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პაციენტებს;

დ) გულის დაავადებათა მქონე პაციენტებს;

ე) C ქრონიკული ჰეპატიტით დაავადებულებს;

ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცათ დანარჩენი კატეგორიის მოქალაქეებს და დახმარების მოცულობა განისაზღვრებოდა პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 ლარისა. დაკმაყოფილდა 698 ბენეფიციარი, თანხით 244 065, 29 ლარი;

11) სარიტუალო დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი 31500 ლარი, პროგრამა ითვალისწინებდა:

ა) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-დან 70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-დან 100000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის დასაფლავების ხარჯების გამლემ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას 500 ლარის ოდენობით;

ბ) გარდაცვლილი ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილის დასაფლავების ხარჯების გამლემ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას 500 ლარის ოდენობით;

გ) ომისა და სამხედრო ძალების გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახის წევრზე ან დასაფლავების ხარჯების გამლემ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას 500 ლარის ოდენობით;

დ) გარდაცვლილი დევნილის ოჯახის წევრზე ან დაკრძალვის ხარჯების გამლემ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემას 200 ლარის ოდენობით, იმ ოჯახებს, რომელთაც სარეიტინგო ქულა აქვთ 1-დან 70000-ის ჩათვლით, დახმარება მიეცათ 500 ლარი, ხოლო იმ ოჯახებს, რომელთაც სარეიტინგო ქულა აქვთ 70000-დან 100000-ის ჩათვლით მიეცათ 300 ლარი. დაკმაყოფილდა 71 ბენეფიციარი თანხით 31500 ლარი;

12) სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი 14500 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა დახმარების გაწევას 500 ლარის ოდენობით სტუდენტებზე, რომელთა ოჯახები იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-დან 100000-მდე სარეიტინგო ქულა. 1000 ლარის ოდენობით პირველი ჯგუფის ინვალიდი სტუდენტისათვის, მიუხედავად სარეიტინგო ქულისა. დაკმაყოფილდა 28 ბენეფიციარი თანხით 14500 ლარი;

13) სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა,

ბიუჯეტი 34800 ლარი. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე. დახმარების ოდენობა განსაზღვრული იყო ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარისა, ხოლო სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 22 ბენეფიციარი თანხით 34780 ლარი;

14) ჯამრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა

ბიუჯეტი 34500 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადად ფულადი დახმარების გაწევას 500 ლარის ოდენობით და არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული, 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიურად დახმარების გაწევას, 200 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა 59 ბენეფიციარი თანხით 34500 ლარი.

სულ 2018 წელს დახმარება გაეწია 1562 ბენეფიციარს თანხით 625522,92 (საკასო შესრულება 99,72%) ლარი.

არასამთავრობო ორგანიზაციასთან „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თანამშრომლობით 2018 წელს ვანის მუნიციპალიტეტში სპეციალური საჭიროების მქონე პირებს გადაეცათ 17 ერთეული ინვალიდის ეტლი.

2018 წელს 2017 წელთან შედარებით ამოქმედდა ორი ახალი - სტიქიით დაზარალებულთა და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა.

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში სააღდგომოდ საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია 33 ბენეფიციარს, ხოლო საახალწლოდ 40 პირს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 12 თანამშრომელი. 2018 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენდა 65000 ლარს: (შრომის ანაზღაურება 60110 ლარი, საახალწლო ერთჯერადი ფულადი ჯილდო; 2150 ლარი; 4890 ლარი სამეურნეო და საოფისე ხარჯისათვის).

ვანის მუნიციპალიტეტში ქალაქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სტაციონალურ-პოლიკლინიკური გაერთიანება - „ჯეოჰოსპიტალსი ვანი“, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური, შპს „ფარმაცია - ვანი“ - დიაგნოსტიკური ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ცენტრი და 17 სოფლის ამბულატორია, სადაც დასაქმებულია 17 სოფლის ექიმი და 18 მედდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება 8 სახელმწიფო პროგრამა. ცენტრი გრაფიკის შესაბამისად ატარებს მონიტორინგს აღნიშნულ დაწესებულებებში შესასრულებელი პროგრამების განხორციელებაზე.

იურიდიულად სოფლის ექიმები და მედდები არიან საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს დაქვემდებარებაში. სოფლის ექიმების უმრავლესობას არ გააჩნია არამართო საკუთარი შენობა, არამედ ფართიც. რამდენიმე ამბულატორია (მთისძირი, შუამთა, ტობანიერი, სალხინო, დიხაშხო, სულორი, ამაღლება, ზეინდარი, გორა, სალომინაო) მეტნაკლებად აკმაყოფილებს ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მინიმალურ პირობებს.

სოფლებს საპრასია-უხუთი, სულორი-ძულუხი ემსახურება თითო ექიმი, სოფლების მდებარეობიდან და მათ შორის არსებული მანძილიდან გამომდინარე შეუძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება. სასურველია დავაყენოთ შუამდგომლობა შესაბამის უწყებაში ორი ექიმის სამტატო ერთეულის დაშვების შესახებ.

ჩატარდა მონიტორინგი წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენის მდგომარეობის შესასწავლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკოლასა და 21 სკოლამდე დაწესებულებაში.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში რაიმე ინფექციური დაავადების აფეთქების შემთხვევა არ ყოფილა, ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით მდგომარეობა მეტ-ნაკლებად მშვიდი იყო.

დაფიქსირებულია მხოლოდ სხვადასხვა ინფექციური დაავადებების უმნიშვნელო რაოდენობის შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მომსახურების პროგრამის ფარგლებში B ჰეპატიტის, აივ ინფექციის, შიდსის და ათამანგის ტესტზე გამოკვლეული 38 ორსულიდან 2 პაციენტი გაიგზავნა შემდგომი კვლევისათვის.

2018 წელს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართული იყო 107 პაციენტი.

ინფექციური დაავადების ყველა კერაში ჩატარდა (საჭიროებიდან გამომდინარე) ეპიდკვლევა.

ასევე მუნიციპალიტეტის ყველა სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარდა გეგმიური მონიტორინგი იმუნიზაციისა და ეპიდზედამხედველობის პროგრამების განხორციელებაზე.

პრობლემად რჩება ის, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არსებობს სადღე-ღამისო ავთიაქი, რომლის თაობაზე ოფიციალური წერილით მიემართა „ავერსის“ ხელმძღვანელობას.

კულტურა

2018 წელში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსება შეადგენდა 31000 ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები (სასკოლო კონკურსი ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად, „ვანის ეტალონი-2018“, რეგიონალური „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2018“, „ტიციანობა“, სარაიონო ტურნირი მინი ფეხბურთში, „ვანელობა“, ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“ დოკუმენტური ფილმის „შინდისის გმირები“ ჩვენება, „გალაკტიონობა“, საახალწლო-საშობაო ღონისძიებები, სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებები და ა. შ.) კანონის შესაბამისად, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდებოდა ღონისძიებათა დაფინანსება.

წლის განმავლობაში კულტურის სამსახურმა დააფინანსა სხვადასხვა პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების ტრანსპორტირება. სატრანსპორტო ტენდერზე სულ დახარჯულია 2700 ლარი.

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 334,5 ათას ლარს, მათ

შორის საკუთარი შემონატანი იყო 7,1 ათას ლარი. 93 ადამიანი მუშაობს აღნიშნულ ა(ა)იპ-ში, მათი ხელფასი განისაზღვრება 292,1 ათასი ლარით. დანარჩენი ხარჯი შეადგენს 41 ათას ლარს.

2018 წლის განმავლობაში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ადმინისტრაციის სამ ოთახს, შეძენილი იქნა გაგრილებისა და გათბობის ელექტრომოწყობილობა, შენობაში შეყვანილი იქნა სასმელი წყალი, ასევე შუამთის კულტურის სახლისთვის შეძენილი იქნა საოფისე ინვენტარი, დამონტაჟდა ტექნიკა.

ჩატარებული კულტურული ღონისძიებების („ტიციანობა“, „ვანელობა“, „გვირილობა“, „გალაკტიონობა“, საახალწლო ღონისძიება და ა.შ.) ხარჯმა შეადგინა 20,0 ათასი ლარი.

გასამლიერებელია ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის მუშაობა. ხალხური ზეპირსიტყვიერება და ფოლკლორი კულტურის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს.

ჯგუფი „არგოსა“ და ახლადშექმნილ ტრიო „სავანეს“ მიმართ მეტი დახმარება და მომთხოვნელობაა საჭირო.

სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის 2018 წლის ბიუჯეტიდან გაიხარჯა 323,4 ათასი ლარი. საკუთარი შემონატანი კი 9,7 ათასი ლარია. აქედან: თანამდებობრივი სარგო 289,9 ათასი ლარია, მივლინება 2,2 ათასი ლარი, ოფისი 16,2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი 20,0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა 4,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს გურამ ბზვანელის სახელობის, შუამთისა და ზეინდრის სამუსიკო სკოლები. განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ასევე ხდება სხვადასხვა ღონისძიებათა ჩატარების ორგანიზება. განსაკუთრებული წარმატებით გამოიკვეთა ქალაქის სამუსიკო სკოლის მოსწავლე ირაკლი გოგიბერიძე, რომელმაც ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მუსიკოს- შემსრულებელთა კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ლაურეატის დიპლომი დაიმსახურა. (პედაგოგი მ. ლორთქიფანიძე).

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 8 წრე. მათ შორის ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ქორეოგრაფიულ დათვალიერებებში. ანსამბლის წევრები და ქორეოგრაფები დაჯილდოებულნი არიან პირველი ხარისხის დიპლომებით. ქორეოგრაფიული წრე მუშაობს იჯარით აღებულ შენობაში (სსიპ ქ. ვანის N1 საჯარო სკოლა), გასათვალისწინებელია ფესტივალებში მონაწილეობისა და საცეკვაო კოსტიუმებით უზრუნველყოფის საკითხი. ასევე გასაუმჯობესებელია ხალხური საკრავების შემსწავლელი წრის ინვენტარით მომარაგება.

ამასთანავე, ყურადსაღებია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და შრომითი ანაზღაურების საკითხი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი წლის განმავლობაში დაფინანსებული იყო 3000 ლარით. მას საკუთარი კვლევები გასაჯაროებული აქვს კრებულ „მატიანეში“. ამჟამად გამოცემულია ჟურნალის 14 ნომერი. გასაუმჯობესებელია მუშაობის ფორმა და მიმართულება. სასურველია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა უფრო მეტად იყოს ინფორმირებული ცენტრის მიერ ვანთან დაკავშირებული მოკვლევითი ისტორიული მოვლენების, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ნიმუშების შესახებ.

ვანის ცენტრალურ, შუამთისა და ზეინდრის ბიბლიოთეკების მუშაობის პროცესში იკვეთება დადებითი ტენდენციები, თუმცა არის პრობლემური საკითხები, რომლებიც სწრაფ რეაგირებას საჭიროებს. კერძოდ: წიგნადი ფონდის აღრიცხვა და საბოლოო დასკვნის დადება, ცენტრალური ბიბლიოთეკის მატერიალური ბაზის, თანამშრომელთა პასუხისმგებლობისა და შრომითი ანაზღაურების გაუმჯობესება.

ყურადღებას მოითხოვს სახვითი ხელოვნების მუზეუმში არსებული მდგომარეობა, რაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კორნელ კეკელიძის 139 წლისთავისადმი 30 აპრილს გამართული ღონისძიება.

ასევე 30 მაისს კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმის გახსნა. შესაბამისად ჩატარდა გარკვეული სამუშაოები.

კულტურის სამსახურს მართებს მეტი ინიციატივანი და შემოქმედებითი მუშაობა.

საბავშვო ბაღები

2018 წლის დასაწყისისათვის ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბიუჯეტი შეადგენდა 980 ათას ლარს.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივნისის N114 დადგენილებით „საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ ოფისის ხარჯებისათვის (კომუნალური გადასახადები) ბიუჯეტი გაეზარდა 40.0 ათასი ლარით.

საკრებულოს 2018 წლის 23 ივლისის N117 დადგენილებით სექტემბრის თვიდან საბავშვო ბაღებში შტატებისა და გაერთიანების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ზრდასთან დაკავშირებით, ასევე შუამთის ახლად აშენებული საბავშვო ბაღისათვის შესაძენი ინვენტარისათვის კვლავ გაიზარდა ბიუჯეტი 95.0 ათასი ლარით.

2018 წლისათვის „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ბიუჯეტი შეადგენდა 1.115.0 ათას ლარს, რომელიც მიზნობრივად გაიზარდა.

რაც შეეხება ბავშვთა კონტიგენტს- 650 აღსაზრდელს შეადგენდა. იყო გაცდენები ვირუსული ინფექციების (გრიპი) და სხვა გარკვეულ მიზეზთა გამო.

ბავშვთა კვება, რომელიც წინასწარ შემუშავებულ მენიუს გათვალისწინებით ხდება, სამჯერადია (საუზმე, სადილი, სამხარი), 1 ბავშვის კვება დღეში 1.60 ლარს შეადგენს, ხოლო თვეში 33,60 თეთრს.

წლის განმავლობაში ყველა საბავშვო ბაღის სასკოლო ასაკის აღსაზრდელი ჩართული იყო სასკოლო მზაობის პროგრამაში, ასაკობრივ ჯგუფებში ჩატარდა თემატური პროექტები სასკოლო-სააღმზრდელი პროგრამის და სახელმძღვანელოს მიხედვით.

ასევე ჩატარდა 1 ივნისის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზეიმი.

15 ივნისს კი გამოსაშვები სარაიონო ღონისძიება კულტურის ცენტრში, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასკოლო ასაკის აღსაზრდელები.

წლის მანძილზე მიმდინარე მუშაობა ემყარება თემატურ პროცესს, სადაც კონკრეტული აქტივობებია მითითებული. ამ აქტივობებისთვის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაწერილია ზუსტი დრო და ფორმები.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიხსნა ახლად აშენებული საბავშვო ბაღი, ინაშაურში სკოლის შენობაში გამოიყო ფართი და მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად გაიხსნა საბავშვო ბაღი.

მიმდინარეობდა შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობა.

სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა საგანმანათლებლო სისტემაში. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ („მილენიუმი“) პროგრამით განხორციელდა ქ. ვანის N2 და ამალეების საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია. შესაბამისად ქ. ვანის N2 საჯარო სკოლის სამუშაოთა შესრულებას მოხმარდა 1 მილიონი ლარი, ამალეების საჯარო სკოლას კი 0,5 მილიონი ლარი.

განათლების სამინისტროს ს.ს. ი კ-ის ინფრასტრუქტურული განვითარების სააგენტოს მიერ ასევე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტობანიერის საჯარო სკოლას, რაზედაც დაიხარჯა 600 ათასი ლარი, მისივე მიერ იქნა რეაბილიტირებული რომანეთის მცირეკონტიგენტიანი სკოლა, რისთვისაც დაიხარჯა 450 ათასი ლარი.

სპორტი

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება 2018 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 357000 ათასი ლარით. წლის ბოლოს კი ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ინვენტარის შეძენისათვის გამოეყო 7 100 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი 47 900 ლარი მოხმარდა სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენების ტურნირებში მონაწილეობის ხარჯებს.

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებაში 2018 წელს მოქმედებდა 13 წრე, რომელსაც 22 მწვრთნელ-მასწავლებელი ემსახურებოდა. (მძლეოსნობა, რაგბი, ფეხბურთი, ჭიდაობა-სამბო, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, საბრძოლო ხელოვნება, კალათბურთი, ველოსპორტი).

შეძენილი იქნა სპორტული სამოსი და ინვენტარი, ნაწილობრივ მოწესრიგდა სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო წელს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და მოვლაზე კომუნალური ხარჯების გათვალისწინებით გახარჯული იქნა 24 000 ლარი, მვირადღირებული ინვენტარის შეძენისათვის 2 700 ლარი. სულ 2018 წელს ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების ბიუჯეტიდან სპორტის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის გახარჯული იქნა 84 700 ლარი.

სხვადასხვა ტურნირებში განსაკუთრებით მაღალი აქტივობითა და შედეგებით გამოიკვეთა სპორტსმენები მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ფეხბურთსა და ჭიდაობაში. ქვეყნის მასშტაბით პირველ ლიგაში მყოფ გუნდებს შორის ვანის სპორტსკოლის მძლეოსანთა გუნდი ათეულში მეხუთე ადგილს იკავებს.

ჭადრაკში გამოიკვეთა ვასიკო შაპოვალოვის წარმატებები.

სერიოზული შედეგებია მიღწეული ჭიდაობაში.

რეგიონალურ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდი „მართვე“ რეგიონში პირველ ადგილს იკავებს.

მძლეოსნებმა რეგიონალურ შეჯიბრში პირველი, ხოლო რესპუბლიკურში კი მეორე ადგილი დაიკავეს.

სპორტსკოლის მოსწავლეების 2018 წლის საშეჯიბრო მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული იქნა წინა წლებთან შედარებით. გაიზარდა მოსწავლეთა მომართვიანობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

გვერდს ვერ ავუვლით კომპლექსური სასპორტო სკოლის, ცენტრალური სტადიონისა და საფეხბურთო სკოლის შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, მიუხედავად ჩატარებული სამუშაოებისა, კვლავ ბევრი საკითხი რჩება გადასაწყვეტი ამ კუთხით.

გასათვალისწინებელია სპორტული წრეების (მოთხოვნის შესაბამისად) ამოქმედება მუნიციპალიტეტის ზონების მიხედვით. (მოსწავლეები ვარჯიშს ტრანსპორტირებისა და დამატებითი ხარჯების გარეშე შეძლებენ, დაზოგავენ დროს).

ვფიქრობ, საქმისადმი ხელმძღვანელის მეტი პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა და პრინციპულობა საჭირო იმისათვის, რომ გაცილებით უკეთესი შედეგები მივიღოთ.

რაც შეეხება სარაგბო კლუბ „აიეტს“ 2018 წლისთვის მისი ბიუჯეტი შეადგენდა 127 993 ლარს, რაც მიზნობრივად გადაანაწილდა სხვადასხვა მიმართულებებით.

გუნდი დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით. 2018 წელში გუნდმა „აიეტმა“ მონაწილეობა მიიღო მეორე ლიგის რეგიონალურ ჩემპიონატში, სადაც მონაწილეობდა 6 გუნდი, „აიეტმა“ მესამე ადგილი დაიკავა. გუნდის 2 წევრი მიწვეულია დასავლეთ საქართველოს „შვიდკაცა“ რაგბის შესარჩევ ნაკრებში.

საკრებულოსა და მერიის თანადგომით მოეწყო და გაიხსნა რაგბის სტადიონი, რომელსაც ბეჟან ხურციდის სახელი მიენიჭა. სპორტის ამ სახის განვითარებასა და აღორძინებას ხელს უწყობსა და გარკვეულ დახმარებას უწევს ლ. ხურციძე, ბ. წაქაძე, ბ. პაიკიძე, ზ. თათვიძე და მუნიციპალიტეტის საკრებულო. აღსანიშნავია, რომ ვანში ახლადგახსნილ სტადიონზე იმართება მე-2 ლიგის შეხვედრები. რაც შეეხება გუნდს, მის ორგანიზებულ საქმიანობას, უფრო მეტს მოვითხოვთ. შედეგები განსაზღვრავს გუნდის წარმატებას, რაც თვითკმაყოფილების საშუალებას არ უნდა აძლევდეს რაგბის მესვეურებს.

საზოგადოების ინტერესს იწვევს ფეხბურთელთა გუნდი. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ა(ა) იპ -ი საფეხბურთო კლუბი „სულორი-ვანი“, რომლის ბიუჯეტი გასულ წელს შეადგენდა 215 000 ათას ლარს, აქედან ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩამოირიცხა 200 000 ათასი ლარი, ხოლო 15000 ლარი კი არის შემოწირულობების შედეგად მიღებული თანხა.

გაუხარჯავი 8830 ლარი და 19 თეთრი კლუბმა დააბრუნა ა(ა) იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში, შემოწირული თანხიდან კი 7825 ლარი და 77 თეთრი დღეის მდგომარეობით აღირიცხება კლუბის ანგარიშზე.

2018 წლის მატჩისთვის 20 იანვრიდან დაიწყო მზადება გუნდმა, რომელშიც 20 ფეხბურთელი ირიცხებოდა. ჩატარდა 38 კალენდარული მატჩი. საკუთარ სტადიონზე გუნდმა უმასპინძლა 19 გუნდს.

2018 წლის შედეგებიდან გამომდინარე გუნდი გადავიდა რეგიონალურ ლიგაში. ფაქტია, შემცირდა დაფინანსების წყაროც, რაც 50 000 ლარს შეადგენს.

კლუბის გაძლიერებისა და ადგილობრივი ფეხბურთელებით გუნდის გააქტიურებისათვის აუცილებლობად მიმაჩნია საბავშვო ასაკის ფეხბურთელთა წრეების გააქტიურება და ძირითადი ყურადღების გადატანა ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე, რასაც მომავალში გავითვალისწინებთ.

ტურიზმი

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრმა“ ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის მაისიდან. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან (გასულ წელს) დახარჯულია 25,7 ათასი ლარი, ცენტრისთვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებს ჩაუტარდა რემონტი, შექმნილი იქნა საოფისე ავეჯი და ტექნიკა.

ცენტრმა მუშაობა დაიწყო ვანის ტურისტულ ლოკაციებად დაყოფით და მათი ტურისტული პოტენციალის განსაზღვრით, მოეწყო პროფესიული ფოტოსესია და მომზადდა სარეკლამო ანოტაციები თითოეულ ლოკაციაზე. დაიბეჭდა სარეკლამო ტურისტული ბროშურები სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური). ცალკე შეიქმნა ვანის ტურისტული რუკა, რომელზეც დატანილია

ვანის ტურისტული ღირსშესანიშნაობები, ტაძრები, ორი კერძო (ოჯახური) ჰოსტელი, სასტუმრო, გასართობი ცენტრი, ღვინის მარანი და ა.შ. რომელთა მშენებლობა უნდა დამთავრდეს 2019-2020 წლებში. ტურისტული რუკა ექვემდებარება კორექტირებას ადმინისტრაციული მოწყობის პარალელურად.

ცენტრის მიერ ტურისტული პოტენციალი სამი მიმართულებით განისაზღვრა - 1.ბალნეოლოგიური ტურიზმი, 2. ისტორიულ-კულტურული მიმართულების ტურიზმი და 3.სამთო ტურიზმი. შესაბამისად დამზადდა ორი სახის სარეკლამო ბროშურა, რომელიც სრულ ინფორმაციას იძლევა ღირსშესანიშნავი ობიექტების ადგილმდებარეობის შესახებ.

23 ივლისს ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრმა“ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, ტურიზმის ფაკულტეტის ძალისხმევით ვანში მოეწყო 2 შიდა ტური. აქტიურად გრძელდება ურთიერთანამშრომლობა.

ჯერ-ჯერობით ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი არ გაფორმებულა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან. იმ მიზეზის გამო, რომ დასასრულებელია ტურისტული ლოკაციების მშენებლობა და შესაბამისად ადმინისტრაციული მოწყობა, თუმცა ცენტრი ჩვეულებრივ სამუშაო რეჟიმში თანამშრომლობს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ღებულობს ყველა საჭირო ინფორმაციას მიმდინარე სიახლეებსა და აუცილებლად შესასრულებელ პროექტებზე.

21 მაისს ვანმა უმასპინძლა 17 ბელარუსს (ტურ-ოპერატორთა ჯგუფს).

9 ოქტომბერს კი გერმანელ ტურ-ოპერატორთა ჯგუფი ეწვია ვანს, მას მასპინძლობა გაუწია გ.ხურციძემ, დადებითი შთაბეჭდილების შედეგად ვანის ტურისტულ შესაძლებლობებზე დაიწერა რამდენიმე სტატია რეზონანსულ სპეციალურ გერმანულ მედიაში, მათ მიერ გადაღებული ფოტო-მასალა გამოიფინება ბერლინში, ტურისტულ გამოფენაზე.

ნოემბერ- დეკემბერში ქუთაისში და წყალტუბოში მოეწყო გამოფენა „ვანის კვირეული“.

ტურისტულმა ცენტრმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სახის ღონისძიებებში.

ასევე დაგეგმილი რამდენიმე ტურისტული ღონისძიება ობიექტურ მიზეზთა გამო 2019 წლის ტურისტული სეზონისთვის გადაიდო/

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრს“ აქვს ოფიციალური ფეისბუქგვერდი, სადაც ატვირთულია ყველა აქტივობა, ფოტო-ვიდეო მასალა და სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

სამხედრო

სამხედრო სამსახურის მიერ ხორციელდება რეზერვისტთა აღრიცხვაზე აყვანა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ორ ეტაპად (საგაზაფხულო-საშემოდგომო) გაწვევა.

საგაზაფხულო გაწვევას დაექვემდებარა 332 წვევამდელი.გეგმით გასაწვევი იყო 35 წვევამდელი. შ. ს. ს.-ში გასაწვევი 7 წვევამდელიდან გაწვეული იქნა 7, თავდაცვაში 20-დან 11, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გასაწვევი იყო 8 წვევამდელი გაწვეულია 8.

საშემოდგომო გაწვევას დაექვემდებარა 282 წვევამდელი, გასაწვევ გეგმას დაექვემდებარა 45 წვევამდელი. შ. ს. ს.-ში ჩასარიცხი იყო 5 წვევამდელი, ჩაირიცხა 3, შ. ს. ს.(ოდდ)-ში 2-ის ნაცვლად ჩაირიცხა 3, დავდაცვის სამინისტროში 27-დან ჩაირიცხა 9, სასჯელაღსრულების სამინისტროში 11 წვევამდელიდან ჩაირიცხა 5.

საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა 9 რეზერვისტი, აყვანილი იქნა სამხედრო აღრიცხვაზე 183 რეზერვისტი.

ძირითადი პრობლემები ამ კუთხით არის წვევამდელთა გადინება საზღვარგარეთ, ფიქტიურ მისამართებზე ჩაწერა და ბიბლიურ თავისუფლება „გირჩში“ ახალგაზრდების მასიური გაწევრიანება სამხედრო სამსახურისადმი თავის არიდების მიზნით.

კომუნალური

კომუნალური გაერთიანების ბიუჯეტი 2018 წლისთვის განისაზღვრა 408,0 ათასი ლარით. აქედან ტრანსპორტზე დაიხარჯა 74.0 ათასი ლარი, მათ შორის საწვავზე 61,9 ათასი ლარი, საპოხ-საცხებ მასალებზე 2,3 ათასი ლარი, სათადარიგო ნაწილებზე 9,8 ათასი ლარი, გარე განათების მოვლა-შენახვის ხარჯებმა შეადგინა 16,2 ათასი ლარი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მყარი ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელზე გატანის კუთხით. შემოყვანილი იქნა ორი თანამედროვე ტიპის ნაგავშიდი მანქანა. შეძენილი იქნა და განსაზღვრულ ადგილებში განლაგდა 150 ურნა, სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 355 ურნა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ კუთხით მოქალაქეთა პასუხისმგებლობის საკითხი. ინფრასტრუქტურის მზარდი განვითარების პირობებში, როცა სხვა სახის სამუშაოებთან ერთად იგეგმება გზების მშენებლობა თუ რეკონსტრუქცია აუცილებლად გასათვალისწინებელია ურნების დასადგმელი ადგილების განსაზღვრა და მოწყობა, რაც იქნება გარანტი ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის.

ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის მიზნით შემუშავდა ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2018 წლის 10 იანვარს. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ეტაპობრივად სრულდება.

უცხოელი და ქართველი სპეციალისტების მიერ ნარჩენების მართვის საკითხთან დაკავშირებით გამართულ ტრენინგებში აქტიურად მონაწილეობს გაერთიანების თანამშრომლები.

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებაა გარე განათების მოწყობა, თუმცა აქაც საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება იკვეთება, (რაც გამოიხატა ნათურების ხელოვნურ დაზიანებაში).

კვლავ პრობლემაა მაწანწალა ძაღლებისა და უმეტვალყუროდ გაშვებული პირუტყვის საკითხი. კარგი იქნება თუ ამ საკითხებზე კვლავ ერთობლივად ვიმსჯელებთ მერია - საკრებულო და მივიღებთ ქმედით გადაწყვეტილებებს.

სათანადო ნებართვის საფუძველზე კომუნალური გაერთიანების მიერ მოხდა გამხმარი ხეების მოჭრა, საშემედ გამოსაყენებელი მერქანი გადაეცა სოციალურად დაუცველ და ინვალიდ მოქალაქეებს.

გაერთიანებას გადაცემული აქვს მერიისაგან ექსკავატორი, რომელიც ინტენსიურად გამოიყენება მოსახლეობის მომსახურებისათვის.

რაც შეეხება ასენიზაციის მანქანას, მოძველებულია და ხშირად გამოდის მწყობრიდან, მითუმეტეს როცა კანალიზაციის პრობლემა დგას ქალაქში. ამ კუთხით სერიოზული ღონისძიებებია გასატარებელი.

მერის წარმომადგენლები

ეფექტურია მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების მუშაობა. 21 ადმინისტრაციულ ერთეულში ხდება მერის წარმომადგენელთა მუშაობის კოორდინაცია, ძირითადად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თითოეულ მაცხოვრებელამდე დაყვანას, ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას განსაკუთრებით ხელმოკლე ოჯახების, სტიქიით დაზარალებულების, ავადმყოფების, ინვალიდების, ომის ვეტერანების, მრავალშვილიანების, დევნილების დახმარებისადმი ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტში მოქმედ 14 პროგრამას დაემატა 2- ძალადობის მსხვერპლთა და უსახლ-კაროთა დახმარების პროგრამები.

მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულები აქტიურადაა ჩართული სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში, რომელიც ხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 გადაწყვეტილების შესაბამისად. გამოყოფილი თანხა მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გადაწყვეტილებით გამოიყენება სოფლის პრიორიტეტების მიხედვით.

აუდიტი

მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ ხორციელდება შიდა ფინანსური კონტროლი, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე, ეფექტურ და ეკონომიკურ ხარჯვას. ამ მიზნით აღნიშნულმა სამსახურმა განახორციელა 2018 წელში აუდიტორიული შემოწმების წლიური გეგმის შესაბამისად 5 ობიექტის შემოწმება.

კერძოდ:

მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელში „ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ და „ მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

ა(ა)-იპ-ების: ვანის კომუნალური გაერთიანების, საბავშვო ბაღების გაერთიანების, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის, სახელოვნებო განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

შემოწმების შედეგად დადებით მხარეებთან ერთად დაფიქსირდა უარყოფითი ფაქტებიც. ყველა დარღვევა-ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ გაცემულია რეკომენდაციები.

მრავალი კონკრეტული ღონისძიება გატარდა ახალგაზრდობის განვითარების კუთხით. ყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობები, რომლის ფაქტობრივი დადასტურება იყო დელეგაციასთან ერთად საქართველოში ისრაელის ელჩის- შაფთაი ცურის სტუმრობა ვანში. იგი შეხვდა მოსწავლე- ახალგაზრდობას და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან 8 მოსწავლეს საჩუქრად გადასცა კომპიუტერები.

2018 წელში გაწეული მუშაობა გვაძლევს იმის საფუძველს გავანალიზოთ დადებითი და უარყოფითი მხარეები და მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მიზანმიმართულად დავგეგმოთ მომავალ წელში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პროექტები.

